პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 სექტემბერი, კვირა, 1988 წ.
№ 171 (9838) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საინფორმაციო ცნობა

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

3 სექტემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმი, რომელზეც მოწვეული იყვნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რაიკომების უფლებების მქონე პარტკომების მდივნები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, რომლებიც არ შედიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, დიდი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების წარმომადგენლები.

პლენუმმა განიხილა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული რეალიზაციისათვის საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

კამათში მონაწილეობდნენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე ბ. დ. მგელაძე, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ვ. ბ. ბლაჟიევსკი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ხ. ემირიძე, წალენჯიხის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის დირექტორი ვ. ა. შანტურია, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. გ. ჩეხოევი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ბ. ზუხბაია, ბოგდანოვკის რაიონის სოფელ გორელოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ს. მარკინი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვ. მელქაძე, თბილისის ქარხანა „მიკროძრავის" მეინსტრუმენტე ზეინკალი ნ. დ. მ[illegible], [illegible] კან ვრასტანის" რედაქტორი ა. [illegible], საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ა. ლაბახუა, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. დ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი დ. ნ. დვალიშვილი, ქუთაისის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების მკერავი ნ. ბ. ნავროზაშვილი, პარტიის მესტიის რაიკომის პირველი მდივანი შ. ა. უჩხვანი, პარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი ქ. ს. მამედოვი, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ქ. აიბა, გარდაბნის რაიონის თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობის მწველავი ი. შ. ბოგებაშვილი.

განხილულ საკითხზე მიღებულია დადგენილება.

პლენუმმა დაამტკიცა ცენტრალური კომიტეტის პლენუმებს შორის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ანგარიში.

დაამტკიცეს ფინანსური ანგარიში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის 1988 წლის პირველი ნახევრის პარტიული ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მიღებულ დადგენილებათა პროექტების გამო პლენუმის მონაწილეებმა შეიტანეს შენიშვნები და წინადადებანი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე პ. პ. ჩხეიძე აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ა. კონდრატიევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ა. ე. სელივანოვი.

(საქინფორმი).

# გავამდიდროთ და შევინარჩუნოთ მონაპოვარი

ყველაფერი დამთავრდა: საქართველოს სპორტსმენებმა ჭაბუკთა II საკავშირო სპორტულ თამაშებში საერთო გუნდურ ჩათვლაში V ადგილი დაიკავეს. არ დავმალავთ, ჯერ კიდევ შარშან და შარშანწინ ამაზე ალბათ ფიქრიც არ შეიძლებოდა. მაშ რა მოხდა? მოხდა ის, რასაც თანმიმდევრული და მიზანმიმართული მუშაობა, პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა ჰქვია. სხვა დანარჩენი თავისთავად უნდა მოსულიყო, თუმცა, ვიმეორებთ, ასეთ მოსავალს 1988 წლის სპორტული შემოდგომისთვის, მართლაც არავინ მოელოდა. V ადგილი მარტო უძლიერეს კოლექტივებს შორის დამკვიდრებას როდი ნიშნავს, ეს უნდა იქცეს შემობრუნების მაუწყებელ ნიშნად. რადგან დიდი სპორტის საფუძველთა საფუძველი ბავშვთა სპორტია, სწორედ ამ თაობამ უნდა მიიღოს დღევანდელ ოლიმპიელთა ესტაფეტა. V ადგილმა ქართული სპორტის ქომაგებს, სპეციალისტებს და ორგანიზატორებს კვლავ დაუბრუნა დიდი. ხნის წინათ დაკარგული რწმენა.

რამ განაპირობა წარმატება? მთავარი მაინც საქმის ორგანიზაცია გახლავთ, როგორც კი დაკისრებული მოვალეობისადმი დამოკიდებულება შევიცვალეთ, როგორც კი ყველაფერს თავის სახელი დავარქვით და ნაკლოვანებების მიზეზებით თავის მართლების გზაც უარვყავით, როგორც კი ყველა უწყების ინტერესები გავაერთიანეთ, მაშინვე სხვაგვარად წარიმართა მუშაობა, შედეგმა კი ჯერ სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში, ხოლო ახლა ჭაბუკთა II საკავშირო სპორტულ თამაშებში იჩინა თავი. საქმისადმი ასეთმა მიდგომამ, აღებული კურსის გაღრმავებამ არ შეიძლება მიმდინარე ციკლის მომდევნო ეტაპზე — ახალგაზრდულ თამაშებში, შემდეგ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში სასურველი ნაყოფი არ გამოიღოს. მაგრამ მიღწეული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ცაში ქუდების სასროლად გვაქვს საქმე. წინსვლის გზაზე შეცდომებიცაა დაშვებული, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია გამოსასწორებელი, ნუ დაგვავიწყდება, რომ რასაც მივაღწიეთ, ყველა სპორტის სახეობის ნაკრები გუნდის სტაბილურობის შედეგი არ არის. პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმუმი ყველას არ გამოუვლენია, ისევ გვხვდება რიგი სერიოზული ჩავარდნები და მინდობილი საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების ფაქტები, ყველაფერი ეს ღრმა ანალიზს და ობიექტურ შეფასებას მოითხოვს.

„ლელო" უკვე იწყებს პირუთვნელ საუბარს ჭაბუკთა საკავშირო თამაშების შედეგებზე, ყველამ, უპირველესად კი წამყვანმა სპეციალისტებმა და სპორტის თითოეული სახეობის კოორდინატორებმა, უნდა გვითხრან სრული სიმართლე, ობიექტურად უნდა შევაფასოთ მიღწევებიც და ნაკლოვანებებიც, რათა უფრო დაჯერებით ვიაროთ წინ და რესპუბლიკის სპორტს საბოლოოდ დავუბრუნოთ მაღალი ავტორიტეტი.

## მზად არიან სტარტებისათვის

უკვე შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ოლიმპიელები მზად არიან სეულის სტარტებისათვის, მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეასრულონ დასახული ამოცანები. — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ საბჭოთა კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც გასულ შაბათს შედგა მოსკოვში.

საბჭოთა სპორტული დელეგაციის XXIV ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტსახკომის თავმჯდომარე მ. გრამოვი. მან შეკრებილთ გააცნო გუნდების შემადგენლობა, აღნიშნა, რომ მასში შევიდნენ პრაქტიკულად ყველა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები.

## ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები

### კოლექტივები, მედლები, ქულები
### საბოლოო ცხრილი

| ადგილი | რესპუბლიკები, ქალაქები | ოქროს მედლები: პირადი | ოქროს მედლები: გუნდური | ვერცხლის მედლები: პირადი | ვერცხლის მედლები: გუნდური | ბრინჯაოს მედლები: პირადი | ბრინჯაოს მედლები: გუნდური | სულ: პირადი | სულ: გუნდური | სულ: მთლიანად |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | რსფსრ | 79 | 31 | 84 | 21 | 77 | 9 | 240 | 61 | 301 |
| 2. | უკრაინის სსრ | 31 | 23 | 40 | 19 | 47 | 12 | 118 | 54 | 172 |
| 3. | ბელორუსიის სსრ | 24 | 12 | 20 | 6 | 34 | 16 | 78 | 34 | 112 |
| 4. | მოსკოვი | 13 | 7 | 20 | 5 | 28 | 8 | 61 | 20 | 81 |
| 5. | საქართველოს სსრ | 17 | 2 | 15 | 8 | 14 | 5 | 46 | 16 | 61 |
| 6. | ლენინგრადი | 18 | 4 | 11 | 2 | 16 | 7 | 45 | 13 | 58 |
| 7. | ყაზახეთის სსრ | 14 | 2 | 12 | 2 | 14 | 11 | 40 | 15 | 55 |
| 8. | უზბეკეთის სსრ | 12 | 2 | 15 | 3 | 13 | 2 | 40 | 7 | 47 |
| 9. | ლიტვის სსრ | 15 | 3 | 4 | 3 | 9 | 4 | 28 | 10 | 38 |
| 10. | სომხეთის სსრ | 9 | — | 14 | 1 | 9 | 1 | 32 | 2 | 34 |
| 11. | მოლდავეთის სსრ | 4 | — | 4 | 3 | 8 | 6 | 16 | 9 | 25 |
| 12. | აზერბაიჯანის სსრ | 5 | 1 | 8 | 2 | 6 | 1 | 19 | 4 | 23 |
| 13. | ლატვიის სსრ | 2 | — | 4 | 4 | 8 | — | 14 | 4 | 18 |
| 14. | ესტონეთის სსრ | 3 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 8 | 4 | 12 |
| 15. | ყირგიზეთის სსრ | 1 | — | — | — | 6 | — | 7 | — | 7 |
| 16. | ტაჯიკეთის სსრ | 1 | — | 2 | — | 3 | — | 6 | — | 6 |
| 17. | თურქმენეთის სსრ | 1 | — | 1 | — | 4 | — | 6 | — | 6 |

### I და II თამაშებში სპორტის სახეობების მიხედვით მოპოვებული მედლების შედარებითი ცხრილი

| სპორტის სახეობები | ოქროს მედლები: I თამაშები | ოქროს მედლები: II თამაშები | ვერცხლის მედლები: I თამაშები | ვერცხლის მედლები: II თამაშები | ბრინჯაოს მედლები: I თამაშები | ბრინჯაოს მედლები: II თამაშები | სულ: I თამაშები | სულ: II თამაშები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აკრობატიკა | 1 | — | 2 | 2 | — | 2 | 3 | 4 |
| 2. ბადმინტონი | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| 3. კალათბურთი (ჭაბუკ.) | — | — | 1 | 1 | — | — | 1 | 1 |
| 4. კრივი | 1 | — | 2 | 2 | 1 | — | 4 | 2 |
| 5. თავისუფალი ჭიდაობა | 3 | 3 | 2 | 1 | 2 | 2 | 7 | 6 |
| 6. სამბო | 2 | 5 | 2 | — | 2 | — | 6 | 5 |
| 7. ველოსპორტი (ტრეკი) | — | — | 1 | — | — | 1 | 1 | 1 |
| 8. ველოსპორტი (საგზ.) | — | 3 | — | 2 | — | — | — | 5 |
| 9. წყალბურთი | — | — | — | 1 | — | — | — | 1 |
| 10. ხელბურთი (ჭაბუკ.) | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| 11. ტანვარჯიში (სპორტ.) | 1 | 1 | — | 1 | 1 | — | 2 | 2 |
| 12. ძიუდო (ჭაბუკ.) | 3 | 4 | 1 | 3 | 1 | 2 | 3 | 9 |
| 13. მძლეოსნობა | — | — | 3 | 1 | 1 | 2 | 4 | 3 |
| 14. ცურვა | — | — | — | 1 | — | 1 | — | 2 |
| 15. სინქრონული ცურვა | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| 16. წყალში ხტომა | 2 | — | 1 | 1 | 2 | 1 | 5 | 2 |
| 17. ბატუტზე ხტომა | — | 3 | — | 3 | — | 1 | — | 7 |
| 18. ტყვიის სროლა | — | — | — | 1 | — | — | — | 1 |
| 19. მაგიდის ჩოგბურთი | — | — | — | — | — | 2 | — | 2 |
| 20. ძალოსნობა | — | — | — | 1 | — | 1 | — | 2 |
| 21. ფარიკაობა | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| 22. ფეხბურთი | — | — | 1 | 1 | — | — | 1 | 1 |
| 23. ჭადრაკი | — | — | — | 1 | 1 | — | 1 | 1 |
| 24. კლასიკური ჭიდაობა | 2 | — | — | — | 5 | — | 7 | — |
| 15. აკადემიური ნიჩბოსნ. | — | — | 1 | — | 2 | — | 3 | — |
| 26. მშვილდოსნობა | 1 | — | 1 | — | 0 | — | 2 | — |
| 27. სასტენდო სროლა | — | — | 1 | — | — | — | 1 | — |
| 28. ჩოგბურთი | — | — | — | — | 2 | — | 2 | — |
| სულ | 16 | 19 | 19 | 23 | 20 | 19 | 55 | 61 |

შენიშვნა: II თამაშებზე ჩოგბურთში ჩატარდა მხოლოდ გუნდური შეჯიბრება, რის გამოც ცხრილში არ შევიდა I თამაშებში პირად პირველობაში მოპოვებული 4 მედალი.

VIII

თვის მონაგარი

# მთავარი სპორტული მოვლენის წინ

**აგვისტოში** გამართულ შეჯიბრებათა ერთი ნაწილი, საბჭოთა ოლიმპიური გუნდის წევრთა შერჩევის თვალსაზრისით, აღარავითარ მნიშვნელოვან ასპარეზობას არ წარმოადგენდა. მრავალი სპორტსმენის, ხშირ შემთხვევაში გუნდების, ბედიც უკვე გადაწყვეტილი იყო, ათლეტთა ერთ ნაწილს კი სწორედ აგვისტოში გამართულ პაექრობებში უნდა დაემტკიცებინა თავისი ძალა და უნარი.

ასე იყო თუ ისე, დღეს უკვე ცნობილია საქართველოდან ოლიმპიური გუნდების წევრთა ვინაობა, რომელთა სიაც „ლელომ" გამოაქვეყნა. შეგახსენებთ, ესენი არიან: ვახტანგ იაგორაშვილი (თანამედროვე ხუთჭიდი), გიორგი ჩოგოვაძე (წყალში ხტომა), ლერი ხაბელოვი, დავით გობეჯიშვილი (ორივე — თავისუფალი ჭიდაობა), ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), ამირან ტოტიკაშვილი, გიორგი თენაძე (ორივე—ძიუდო), გურამ გედეხაური (კლასიკური ჭიდაობა), მიხეილ გიორგაძე (წყალბურთი), გელა კეტაშვილი (ფეხბურთი), ხრისტინა ფალასანიდი (სინქრონული ცურვა), მაია აზარაშვილი (მძლეოსნობა), თამაზ იმნაიშვილი (სასტენდო სროლა), ლეილა მესხი (ჩოგბურთი), ვლადიმერ აფციაური (ფარიკაობა). თუმცა, შესაძლოა, რომ ეს სია კიდევ გაიზარდოს.

როგორც ხედავთ, ამ სიაში, ტრადიციისამებრ, ყველაზე მრავლად მოჭიდავეები არიან წარმოდგენილნი. თვის მონაგარიც მათი მიღწევებით გვინდა დავიწყოთ.

**მოჭიდავეთაგან** ოლიმპიურ გუნდში ყველაზე გვიან დავით გობეჯიშვილი მოხვდა. ხადარცევი თუ გობეჯიშვილი? იმთავითვე ასე იდგა საკითხი. ჩვენი სპორტსმენი მთელი სეზონის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა ასპარეზობებში და ამტკიცებდა კიდეც, რომ ოლიმპიური გუნდის ღირსეული კანდიდატი იყო. აი, ხადარცევი კი მასთან პირისპირ შეხვედრას ერიდებოდა. საბოლოოდ მაინც გადაწყდა, რომ ამ ორ ათლეტს ერთმანეთთან ჭიდილში გაერკვია ურთიერთობა. მათთვის მოეწყო საგანგებო შეჯიბრებაც, სადაც ორთაბრძოლამ თითქმის ნახევარ საათს გასტანა. ეს „დუელი" ჩვენი სპორტსმენის გამარჯვებით დამთავრდა.

ამ გამარჯვებით, რა თქმა უნდა, გობეჯიშვილს არავითარი მედალი არ მიუღია, მაგრამ მოპოვებული წარმატება რომ არა, ოლიმპიურ ჯილდოზე ფიქრიც შეუძლებელი გახდებოდა. ახლა კი...

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა პოზნანის საერთაშორისო ტურნირი ფრიად პრესტიჟული და ავტორიტეტული გახლავთ. იგი თავისი რანგით თბილისის საერთაშორისო ტურნირსაც არ უდებს ტოლს. ამიტომ ახლანდელ ტურნირში მონაწილე 12 ქვეყნის წარმომადგენელთა უმეტესობა შეჯიბრებას ოლიმპიურ პრიზმაში განიხილავდა. ამიტომაც იყო, რომ პოლონეთის, თურქეთისა და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებმა ასპარეზობაში ოლიმპიური გუნდები გამოიყვანეს. ამდენად, ერთი-ორად სასიხარულოა, რომ ამ შეჯიბრებაში საქართველოს წარმომადგენლებმა გუნდურ პირველობაში ყველას აჯობეს. მათგან პირად პირველობაში გამარჯვებას მიაღწიეს თბილისელებმა ავთანდილ გოგოლიშვილმა (82 კგ), მამუკა რაზმაძემ (90), გიორგი გალდავამ (მძიმე) და ვანელმა ზაზა ტყეშელაშვილმა (100). მეორე ადგილებზე გავიდნენ თბილისელები ზურაბ ტატუაშვილი (52) და ზაზა თურმანიძე (მძიმე), ხოლო მესამეზე — სოხუმელი ეგია მუსოიანი (57), ყვარლელი მალხაზ როზომაშვილი (74) და თბილისელი ლევან ებანოიძე (მძიმე).

ათენში გამართულ ახალგაზრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო თასის გუნდურ გათამაშებაში საბჭოთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში საქართველოს ორი წარმომადგენელი კობა გულიაშვილი (62) და რამაზ გადაბაძე (82) გამოდიოდნენ, ყველას აჯობა.

იხ. გვ.2 გვ.

VIII თვის მონაგარი

# მთავარი სპორტული მოვლენის წინ

(დასასრული)

თბილისელი კობა გულიაშვილი ამის შემდეგ პოლონეთის ქალაქ ვალბჟიხში გამართულ იუნიორთა ევროპის პირველობაში ჩაება და ოქროს მედალიც მოიპოვა. ამ შეჯიბრებაში გამოდიოდა კიდევ ერთი თბილისელი — კობა კოღუაშვილი (90), რომელიც ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდა.

კლასიკურ ჭიდაობაში ჩეხოსლოვაკიის დიდი პრიზის გათამაშება უმაღლესი კატეგორიის ტურნირს განეკუთვნება. მასში თითქმის ყველა უძლიერესი „კლასიკოსი" მონაწილეობს და გამონაკლისი არც ახლანდელი ტურნირი იყო. საბჭოთა კავშირი ამ შეჯიბრებაში ამჯერად საქართველოს ნაკრებით იყო წარმოდგენილი და მანაც იმედები გაამართლა. შვიდიდან ექვსი ჩვენი მოჭიდავე პრიზიორი გახდა. მათგან საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ თბილისელები ბეგი დარჩია (82) და თენგიზ თედორაძე (100), მეორე ადგილზე გავიდა ქუთაისელი ვასილ ონიანი (68), ხოლო მესამეზე — თბილისელები გელა პაპაშვილი (68), ნაიბი დვალიძე და ზაურ ცხადაძე (მძიმე).

ჩვენმა „კლასიკოსებმა" თავი გამოიჩინეს საკავშირო უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაშიც. ეს ასპარეზობა გროდნოში ჩატარდა და საქართველოს ნაკრებმა გუნდურ პირველობაში მესამე ადგილი დაიკავა. ჩვენი მოჭიდავეებიდან ჩემპიონები გახდნენ გოჩა ხარკიაშვილი (57) და გურამ შონია (130), ხოლო მამუკა გიგაურმა (68) და ვასილ ქარსელაძემ (130) მესამე ადგილები მოიპოვეს.

ახლა ძიუდოისტთა წარმატებებიც გავიხსენოთ. ფინეთში გამართულ იუნიორ ძიუდოისტთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში („დრუება") გამარჯვება მოიპოვა თბილისელმა ზაზა დაბრუნდაშვილმა (60). ვერცხლის მედლები დაიმსახურეს სოხუმელმა მაკარ თვალაძემ (71) და ქუთაისელმა დავით ხახალეიშვილმა (აბსოლუტური კატეგორია).

ძიუდოისტებმა, ისე როგორც კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა, თავი გამოიჩინეს საკავშირო უნივერსიადაზეც. მათი ასპარეზობა პოლტავაში გაიმართა და იქიდან ოქროს მედლებით დაგვიბრუნდნენ მიხეილ ხუმარაძე (78) და ენგურ გოგიჩაშვილი (მძიმე). მათმა თანაგუნდელებმა დავით ფიცხელაურმა (71), ვერცხლის, ხოლო ჯამბულ მახურაშვილმა და მალხაზ ხუბეჯაშვილმა (ორივე — 60) ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

რაკი სიტყვა უნივერსიადაზე მოპოვებულ წარმატებებზე ჩამოვარდა, აგვისტოს მონაგრის გახსენებას ამითვე გავაგრძელებთ.

სამბისტთა შეჯიბრებაზე, რომელიც იაროსლავლში ჩატარდა, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან ჩემპიონი გახდა კობა კუპატაძე (100). მეორე ადგილი წილად ხვდა თამაზ ინაშვილს (52), ხოლო ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ლევან ბასილაშვილმა (57), მამუკა ბექაურმა (82) და ავთანდილ მელაძემ (მძიმე).

მოკრივეთაგან, რომელთა შეჯიბრება დონეცკში გაიმართა, ჩვენი რესპუბლიკის მხოლოდ ორმა წარმომადგენელმა გამოიჩინა თავი. მეორე საშუალო წონაში მეორე იყო ემილიან ჭულუხაძე, ხოლო მეორე ქვესაშუალო წონაში გია წერედიანს წილად ხვდა ბრინჯაოს მედალი.

ფეხბურთელები ვილნიუსში ასპარეზობდნენ. აქ საქართველოს გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. ჩვენი ნაკრები ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევო ინსტიტუტის ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. მათ თავიანთი რიგები მხოლოდ ერთი ფეხბურთელით (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან) გააძლიერეს, მაშინ, როცა სხვებს, რესპუბლიკის ნაკრები გუნდები გამოჰყავდათ, ხოლო ლიტველთა შემადგენლობა ძირითადად ვილნიუსის „ჟალგირისის" ოსტატებით იყო დაკომპლექტებული.

რა თქმა უნდა, უნივერსიადაზე ჩვენი სპორტსმენების წარმატებები სასიხარულოა, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე გამორჩეული მაინც თბილისელი მაია აზარაშვილის გამარჯვება იყო. მან კიევში გამართულ ასპარეზობაში 100 და 200 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა. ორივე დისტანციაზე საქართველოს რეკორდები დაამყარა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ორივეგან მსოფლიო სტანდარტების დონის შედეგები (შესაბამისად 11,08 და 22,24) აჩვენა, რამაც მას საშუალება მისცა ოლიმპიურ გუნდში მოხვედრილიყო. მანამდე აზარაშვილი უკონკურსოდ მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ ტრადიციულ ტურნირში, სადაც მასპინძელთა გარდა რსფსრ-ისა და ლენინგრადის გუნდები გამოდიოდნენ. მან აქ ყველას აჯობა 200 მეტრზე რბენაში.

ივლისის თვის მონაგარში ვიუწყებოდით, რომ თბილისელმა ოლეგ სტრიჟაკოვმა კიევში მიმდინარე მძლეოსანთა შეჯიბრებაში, 10 კილომეტრზე რბენაში, მეორე ადგილი დაიკავა. ეს ასპარეზობა ივლის-აგვისტოში გაიმართა. ამიტომ სტრიჟაკოვს გამოსვლები დამთავრებული არ ჰქონდა. მან მეორე 5-კილომეტრიან დისტანციაზე იასპარეზა და კვლავ ვერცხლის მედალი მოიპოვა.

აგვისტოში ჩვენმა სპორტსმენებმა კიდევ რამდენიმე საკავშირო ჩემპიონატში გამოიჩინეს თავი.

თბილისელმა წყალში მხტომელმა გიორგი ჩოგოვაძემ წლეულს იმდენად დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვა, რომ ოლიმპიურ გუნდში მოხვედრად ალმა-ათაში გამართული საკავშირო ჩემპიონატი მისთვის არაფერს ან თითქმის არაფერს წყვეტდა. მიუხედავად ამისა, მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მაღალი ოსტატობა და 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში ჩემპიონის მედალი დიდი უპირატესობით მოიპოვა.

იგივე უნდა ითქვას თბილისელ სინქრონული ცურვის ოსტატ ხრისტინა ფალასანიდიზე. იგი თბილისში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში უძლიერესი იყო ერთეულთა თანრიგში. წყვილთა ასპარეზობაში კიეველ ულენა ფოშჩევსკაიასთან ერთად ვერცხლის მედალი მოიპოვა, ამ შეჯიბრების ჯგუფურ ასპარეზობაში, საქართველოს ნაკრების წევრებმა ლელა მამიაურმა, იანა ალავიძემ, ნინო მაისურაძემ, მანანა ჩანქსელიანმა, ეკა ახათიანმა, ნინო გელაშვილმა, ტატიანა გუტიაკულოვამ და ელისო მარგველაშვილმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

ჩვენი სინქრონული ცურვის ოსტატთა წარმატებები ამით არ ამოწურულა. ლელა მამიაურმა და ნინო გელაშვილმა წყვილთა ასპარეზობაში მესამე ადგილი დაიკავეს.

შეგახსენებთ, ჩვენს გოგონებს საკავშირო ჩემპიონატებში ასეთი წარმატებისთვის მანამდე არ მიუღწევიათ.

თბილისელი ველოსიპედისტი ოთარ მჭედლიშვილი მთელი სეზონის განმავლობაში თავდაუზოგავად იბრძოდა, რათა ოლიმპიურ გუნდში მოხვედრილიყო. საამისოდ მას, თბილისელ ვლადიმერ ადამაშვილსა და მოსკოველ ნიკოლაი კოვშ შორის დიდი ბრძოლა მიმდინარეობდა. ხან ერთი იმარჯვებდა, ხან მეორე, ხან მესამე. ყველაფერი აგვისტოში გამართულ საკავშირო ჩემპიონატს უნდა გადაეწყვიტა. აქ სპრინტერთა პაექრობაში კოვშმა იმარჯვა, ხოლო მჭედლიშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.

მოსკოვში, „კრილატსკოეს" კომპლექსის არხზე გამართულ საკავშირო ჩემპიონატის მედლებს საბაიდარო ნიჩბოსნობის ოსტატები ეცილებოდნენ ერთმანეთს, გამარჯვებული სპორტსმენები სეულის საგზურს იმსახურებდნენ. აქ თბილისელმა კახა ლომიშვილმა ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა. ეს ჯილდოები მან 1000 მეტრზე ორ და ოთხადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობაში მოიპოვა.

ჩოგბურთელებმა თავიანთი საკავშირო ჩემპიონატი უჟგოროდში გამართეს. აქ თბილისელმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ, მოსკოველ ალექსანდრ ზვერევთან ერთად, წყვილთა თანრიგში ოქროს მედალი მოიპოვა.

ამის შემდეგ გაბრიჩიძემ კატოვიცეში გამართულ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა და თბილისელ დავით კაპარავასთან ერთად წყვილთა თანრიგში გაიმარჯვა.

ბელორუსიის მე-18 ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც თანამედროვე ხუთჭიდელები გამოდიოდნენ, პარალელურად საკავშირო თასის გათამაშებაც გაიმართა. ამ შეჯიბრებებში ყველას აჯობა თბილისელმა ვახტანგ იაგორაშვილმა. მართალია, იაგორაშვილი მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურად მაღალ შედეგებს აჩვენებდა, მაგრამ ამ ორმაგმა გამარჯვებამ მას ოლიმპიურ ნაკრებში საბოლოოდ დაუმკვიდრა ადგილი.

თამაზ იმნაიშვილიც თავის სახეობაში — სასტენდო სროლაში — დიდი სტაბილურობით გამოირჩეოდა. მან ოლიმპიური თამაშების წინ გამართულ უკანასკნელ ასპარეზობაში — მოსკოვის დიდი პრიზის გათამაშებაშიც — შესანიშნავად ისროლა და გაიმარჯვა.

სოფიის მახლობლად ბოტუნეცის ტბაზე გამართული წყალმოთხილამურეთა ტრადიციული ტურნირი „მეგობრობის თასზე" პირველი საერთაშორისო შეჯიბრება აღმოჩნდა ფოთელი ხათუნა კორკელიასა და გენადი პეტრუხინისთვის. მიუხედავად ამისა, ორივე სპორტსმენმა თავი გამოიჩინა. ისინი საბჭოთა ნაკრების ღირსებას 17 წლამდე ასაკის სპორტსმენთა პაექრობაში იცავდნენ. ხათუნამ ყველას აჯობა პროგრამის სამივე სახეობაში (სლალომში, ფიგურულ სრიალში, ტრამპლინზე ხტომაში) და, ბუნებრივია, მრავალჭიდშიც უძლიერესი იყო.

რაც შეეხება პეტრუხინს, მან ფიგურულ სრიალსა და ტრამპლინზე ხტომაში ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ამ წარმატების შემდეგ პეტრუხინი ნორვეგიაში ევროპის ჭაბუკ წყალმოთხილამურეთა პირველობაზე წაიყვანეს. იქ 17 წლამდე ასაკის სპორტსმენთა პაექრობაში ყველას აჯობა საბჭოთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც, რა თქმა უნდა, ფოთელი სპორტსმენიც იყო.

საბჭოთა გუნდის წევრებთან ერთად ევროპის იუნიორ კალათბურთელთა პირველობის ოქროს მედალი მოიპოვა თბილისელმა მედეა მჭედლიძემ, რომელიც ბულგარეთის ქალაქ ველიკო-ტირნოვოში გამოდიოდა.

ძალზე გაგვახარა ნორჩმა თბილისელმა მოჭადრაკე თეა ლანჩავამ, რომელიც რუმინეთის ქალაქ ტიმიშოარაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე გამოდიოდა. მან 14 წლის სპორტსმენთა შორის ყველას აჯობა და ოქროს მედალი მოიპოვა.

და ბოლოს, ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშების შესახებ. ამ შეჯიბრებაში ჩვენმა სპორტსმენებმა ივლისში მოპოვებულ ჯილდოებს აგვისტოში კიდევ 7-7 ოქროს, ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი შემატეს. ახლა ამ თამაშებზე ჩვენი სპორტსმენების საერთო ნადავლი, ასე გამოიყურება: 19 ოქროს, 23 ვერცხლისა და 19 ბრინჯაოს მედალი.

დასასრულს იმედს გამოვთქვამთ, რომ სექტემბრის თვის მონაგარი სეზონის მთავარი შეჯიბრების — ოლიმპიური თამაშების მედლებით დამშვენდება.



## შეფები მზრუნველობას არ მოაკლებენ

ინტერნატის ეზოში ჩამწკრივებული ბავშვები სახეგაბრწყინებულნი ელოდნენ პირველი სექტემბრისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალის დაწყებას. უფროსებს სევდანარევი ღიმილი დასთამაშებდათ, — გარდასულ დღეთა გახსენებამ რომ იცის...

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა თელავის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებზე შეფობა იკისრა. შეფებმა გადაწყვიტეს ახალი სასწავლო წლის დაწყება თავიანთი საჩუქრით კიდევ უფრო გაელამაზებინათ.

ზეიმი მართლაც ჩინებულად იყო ორგანიზებული. სკოლის ხელმძღვანელებმა და სტუმრებმა წარჩინებულ მოსწავლეებს სიგელები, პირველკლასელებს კი სახელმძღვანელოები გადასცეს, ხოლო შეფებმა მოსწავლეებს 1500 მანეთის სპორტული ფორმები და ინვენტარი ჩაუტანეს.

ინტერნატის აღსაზრდელები რაიონის ჩემპიონები ყოფილან ფეხბურთსა და ჭიდაობაში. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ თელავის რაიონის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები სწორედ ამ ინტერნატის ბაზაზეა დაკომპლექტებული. პედაგოგები და მოსწავლეები ყველაზე მეტად მაინც ჭაბუკ ძიუდოისტთა საკავშირო ნაკრების წევრის თამაზ მუთოშვილის წარმატებით ამაყობენ, რომელმაც თავი ისახელა ტოკიოში გამართულ საერთაშორისო ტურნირში.

ბავშვები სპორტის სხვადასხვა სექციაში არიან გაერთიანებული. ფეხბურთში მათ შეფობის წესით ავარჯიშებს თელავის „ნადიკვრის" გუნდის წევრი იოსებ ასაბაშვილი, ჭიდაობაში — სკოლის ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი, სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში ოთარ ქოზაშვილი. ჭადრაკისა და შაშის ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები თელავის პიონერთა სასახლის სექციაში მეცადინეობენ.

სექტემბროდ კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა საძინებელ კორპუსს, რომელიც თანამედროვე, ლამაზი და კომფორტული ავეჯით დამშვენდა.

— რემონტის გამო სპორტულ ბაზებს ვეღარ მივხედეთ. როგორც მშენებლებმა გვითხრეს, ორ კვირაში ეს საქმეც მოგვარდება, — გვითხრეს მასპინძლებმა.

ინტერნატის სპორტულ კომპლექსს დიდი ტერიტორია აქვს დათმობილი. ბაზას ჯერჯერობით მართლაც აკლია მზრუნველი ხელი. კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების კეთილმოწყობა უკვე დაწყებულია. აქ შეფებმა თელავის მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა, კალათბურთის მოედანზე თავიანთ საწარმოში დამზადებული ფარები დაამონტაჟეს.

იროდი ბეზაშვილი — პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს სამმართველოს უფროსი: ჩვენი მეგობრობა ესესაა დაიწყო. განზრახული გვაქვს უახლოეს ხანში ინტერნატის ბავშვებს მოვუწყოთ რესპუბლიკის გამოჩენილ ოლიმპიელთა ფოტოსტენდი, შევუძინოთ ჩოგბურთის კორტის აღჭურვილობა, ბავშვებს დავპირდით, რომ ინტერნატში შევახვედრებთ ჩვენი სპორტსაზოგადოების იმ სპორტსმენებს, რომლებიც სეულის ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვებენ. გარდა ამისა, აღსაზრდელებს თბილისშიც მოვიწვევთ, დავათვალიერებინებთ სპორტულ ბაზებს, დავასწრებთ შეჯიბრებებს...





**ჯემალ კასრაძე**
„ლელოს" სპეც. კორ.

თელავი.

სურათებზე: ინტერნატის ფეხბურთელები და მოჭიდავეები წვრთნას შეუდგნენ.

ავტორის ფოტოები.

## საქართველოს მოზარდთა წარმატება

კულდიგაში (ლატვია) დამთავრდა სახალხო განათლების სისტემის სპორტული სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრება ჭადრაკში. საქართველოს გუნდმა ბოლო ტურში ლიტველებს სძლია — 5:3, უკრაინელმა მოზარდებმა დიდი ანგარიშით სძლიეს ლენინგრადელ თანატოლებს — 6,5:1,5, ხოლო სომხეთისა და აზერბაიჯანის მოჭადრაკეებმა ფრედ (4:4) დაამთავრეს მატჩი.

ამრიგად, საქართველოს ნაკრებმა 23 ქულა დააგროვა და II ადგილი დაიკავა. ეს უდავოდ დიდი წარმატებაა. ჩვენი ჭაბუკები 2,5 ქულით ჩამორჩნენ ტურნირის გამარჯვებულებს — უკრაინელ თანატოლებს, აზერბაიჯანის გუნდმა 21,5 ქულა მოაგროვა და III ადგილი დაიკავა. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: სომხეთი — 19,5 ქულა, ლენინგრადი — 17, ლიტვა — 13,5.

აი, ვინ რამდენი ქულა შესძინა საქართველოს კოლექტივს (დაფების მიხედვით): შოთა კუპუხიძემ — 5 ქულა (8-დან), მიხეილ კეკელიძემ — 4,5 (მან ფინალურ ეტაპზე 5-დან 4 ქულა მოაგროვა), ალექსანდრე ქამაშვილმა — 5,5, კახა ხაბურზანიამ — 3, ნინო ხურციძემ — 7,5, დავით ლომიძემ — 2, სვეირაგან შავერდიანმა — 4, დიანა დარჩიამ — 6,5.

თავის დაფაზე ხურციძემ ყველას აჯობა, 10 წლის დარჩიამ კი III ადგილი დაიკავა.

შეჯიბრებისთვის გუნდი მოამზადეს სულიკო მეგრელიშვილმა (გუნდის უფროსი), გიორგი მაჭარაშვილმა (უფროსი მწვრთნელი), გიგი გამრეკელმა, თეიმურაზ ლომაიამ, ამირან ბერძენიშვილმა, გურამ ჭანტურიამ (მწვრთნელები).

# ოლიმპიური სტრატეგია

### იმის შესახებ თუ როგორ მოიპოვა სეულის საგზური დავით გობეჯიშვილმა

**მძიმე წონაში გამარჯვება ყველაზე პრესტიჟულია მოჭიდავეებისთვის. ეხეც არ იყოს, დავით გობეჯიშვილს ჩვენში ბევრი გულშემატკივარი ჰყავს და, ვიდრე ოლიმპიური ნაკრების საბოლოო სია გამოქვეყნდებოდა, მეტად განიცდიდნენ, ღელავდნენ. ახლა გობეჯიშვილის ქომაგებმა შვებით ამოისუნთქეს, თუმცა კი ბევრმა არ იცის, კვანძის გახსნამდე როგორ წარიმართა მისი და ასლან ხადარცევის მეტოქეობა. გვესაუბრება საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვლადიმერ მესტვირიშვილი.**

— ოლიმპიადისათვის დავით გობეჯიშვილის მზადების გეგმა ჯერ კიდევ მაშინ შევიმუშავეთ, როდესაც იგი ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონატში თავის ძირითად მეტოქესთან, ტაშკენტელ ასლან ხადარცევთან დამარცხდა. პირველ ყოვლისა, შევეცადეთ წარმოგვედგინა, რა გზას აირჩევდა ამავე პერიოდში თვითონ ხადარცევი, რათა გუნდში უკვე მოპოვებული უპირატესობა შეენარჩუნებინა.

ნათვლი იყო, რომ წლეულს ევროპის ჩემპიონატზე მას გაგზავნიდნენ. ისიც ვიცოდით, ამ შეჯიბრებას მოიგებდა, ხოლო საკავშირო ჩემპიონატს, სადაც პირისპირ უნდა შეხვედროდა გობეჯიშვილს, რაიმე საბაბით თავს აარიდებდა. ამას იოლად მივხვდით. რჩებოდა ერთადერთი დასკვნა: ყველაფერს გადაწყვეტდა ბოლო საკონტროლო შეხვედრები, რომელთა აუცილებლობა საეჭვო არ უნდა ყოფილიყო; როგორც ველოდით, გობეჯიშვილმა წლეულს ბრწყინვალედ მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი, გამარჯვა მსოფლიო თასის გათამაშებაში და მისი არად ჩაგდება, ცხადია, არ იქნებოდა გამართლებული.

საკონტროლო შეხვედრა 19 აგვისტოს მოეწყო კისლოვოდსკის ოლიმპიურ ბაზაზე. იგი 1100 მეტრზე მდებარეობს ზღვის დონიდან. ასეთ სიმაღლეზე ჭიდაობა კი სხვაგვარ სუნთქვას და გამძლეობას მოითხოვს. ამიტომ მანამდე ერთი კვირა ბაკურიანში, იმავე სიმაღლეზე ვივარჯიშეთ.

თვითონ მე ჩვენი ფალავნის გამარჯვება არ მაეჭვებდა. დავითი ასეთი მიზანდასახული და მონდომებული არასდროს მინახავს, ხოლო მონაცემებით, არ ვაჭარბებ, იგი მაღლა დგას ხადარცევზე.

შეხვედრამდე შედგა მწვრთნელთა საბჭოს სხდომა, სადაც ბრძოლის პირობები გაირკვა. გადაწყდა, რომ დაინიშნებოდა ორი სამწუთიანი პერიოდი და, თუ ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდებოდა, მას კიდევ სამი წუთით გააგრძელებდნენ. გაფრთხილებები საკონტროლო შეხვედრაზე მიღებული არ არის.

ეს იყო ძალზე მწვავე ბრძოლა, ხადარცევს მშობლიური ქალაქიდან — ორჯონიკიძიდან ბევრი გულშემატკივარი ჩამოჰყვა. არც გობეჯიშვილი იყო ეულად — თბილისიდან ჩასულებს კისლოვოდსკში მომუშავე რაჭველებიც შემოგვიერთდნენ. გულშემატკივართა აზარტმა კიდევ უფრო დამუხტა ისედაც დაძაბული ატმოსფერო.

ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა, დამატებითი წუთების დამთავრებას კი საშველი აღარ დაადგა, მოჭიდავეები მთელ 40 წუთს იდგნენ ხალიჩაზე, თუმცა უშუალოდ ჭიდაობას 14 წუთი მოანდომეს. ობიექტურ აზრს მოგახსენებთ, ორ შემთხვევაში ჩვენი ფალავნის ილეთი შეფასებას იმსახურებდა, მაგრამ მსაჯებმა სხვაგვარად იფიქრეს.

მეტოქეებს [illegible] ... დროში. დამატებითი დრო ახალი დაწყებული იყო, როცა გობეჯიშვილმა ჩოქბჯენში გადაიყვანა მეტოქე და... ოლიმპიადის საგზური დაისაკუთრა. ეს გამარჯვება დამსახურებული იყო, ხადარცევს მთელი შეხვედრის მანძილზე ხალიჩიდან გაქცევაზე ეჭირა თვალი. მისმა „ბანაკმა“ მაინც ვაჟკაცურად მოგვილოცა გამარჯვება.

მინდა მივულოცო წარმატება დავით გობეჯიშვილის პირად მწვრთნელს ჯურამ სალარაძეს, რომელიც იქვე იყო და ძალიან ღელავდა. მინდა მივულოცო ჩვენს გუნდს; ოლიმპიურ ნაკრებში ხომ ორ მოჭიდავეზე მეტი თვით რუსეთის ფედერაციასაც არა ჰყავს. სხვათა შორის, ლერი ხაბელოვი ქვეყნის ჩემპიონატიდან განთავისუფლებული იყო. მაგრამ, კრასნოიარსკში რომ არ ეჭიდავა, მასაც მოუხდებოდა საკონტროლო შეხვედრის ჩატარება ნიჭიერ სპორტსმენ ახმედ ატავოვთან, რომელმაც მსოფლიო თასი მოიგო. მაგრამ ლერიმ ჩემპიონატზევე მოიპოვა ოლიმპიური თამაშების საგზური. სტრატეგიამ აქაც გაამართლა.

**ჩაიწერა გიორგი ჩოჩიშვილმა.**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**ბუშინ** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 22-ე ტურის მატჩები.

ერევანში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „არარატი“ და თბილისის „დინამო“. თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 3:1.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია:

**„დნეპრი“ — „შახტიორი“ 4:2**
**„სპარტაკი“ — „ჩერნომორეცი“ 3:1**
**„დინამო“ კ. — „კაირატი“ 3:0**
**„ტორპედო“ — „მეტალისტი“ 1:0**
**„დინამო“ მნ. — „ლოკომოტივი“ 3:2**
**„ჟალგირისი“ — „ზენიტი“ 2:0**

## I ლიგა

1 სექტემბერს გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 30-ე ტურის შეხვედრები. გთავაზობთ შედეგებს: „ზვეზდა“ (პერმი) — ასკ (დონის როსტოვი) 2:2, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 0:0, ცსკა — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 0:2, „კუზბასი“ (კემეროვო) — „დაუგავა“ (რიგა) 0:2, „დინამო“ (სტავროპოლი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „პამირი“ (დუშანბე) 0:2, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 0:3, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 2:1, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:0.

ბათუმის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიის“ შეხვედრა, როგორც ვიტყობინებოდით, გადაიდო.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 3 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „პამირი“ | 29 | 18 | 8 | 3 | 53-25 | 44 |
| ცსკა | 29 | 14 | 8 | 7 | 41-22 | 36 |
| „დინ.“ სტ. | 29 | 14 | 8 | 7 | 40-27 | 36 |
| „როტორი“ | 28 | 15 | 4 | 9 | 46-26 | 34 |
| „ფახთაქ.“ | 29 | 13 | 8 | 8 | 38-26 | 34 |
| „გურია“ | 27 | 14 | 4 | 9 | 41-29 | 32 |
| „როსტსელ.“ | 28 | 12 | 7 | 9 | 40-37 | 31 |
| ასკ რ. | 28 | 12 | 7 | 9 | 39-38 | 31 |
| ასკ კარ. | 28 | 12 | 6 | 10 | 39-23 | 30 |
| „დაუგავა“ | 28 | 12 | 6 | 10 | 40-34 | 30 |
| „გეოლოგი“ | 29 | 12 | 5 | 12 | 34-39 | 29 |
| „ტავრია“ | 29 | 9 | 10 | 10 | 26-27 | 28 |
| „სპარტაკი“ | 29 | 11 | 5 | 13 | 41-44 | 27 |
| „შინიკი“ | 29 | 10 | 7 | 12 | 30-33 | 27 |
| „კოტაიკი“ | 29 | 10 | 5 | 14 | 36-56 | 25 |
| „მეტალურ.“ | 29 | 9 | 7 | 13 | 21-31 | 25 |
| „კუზბასი“ | 29 | 6 | 12 | 11 | 19-30 | 24 |
| „დინ.“ ბ. | 27 | 10 | 3 | 14 | 24-31 | 23 |
| „ზარია“ | 28 | 8 | 7 | 13 | 34-38 | 23 |
| „ყუბანი“ | 29 | 8 | 6 | 15 | 25-41 | 22 |
| „ზვეზდა“ | 29 | 5 | 9 | 15 | 25-55 | 19 |
| „კოლოსი“ | 29 | 6 | 6 | 17 | 21-41 | 18 |

## II ლიგა

გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები: „ლორი“ (კიროვაკანი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:0, „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „ურალანი“ (ელისტა) 3:0, „ტორპედო“ (ტაგანროგი) — „მეტალურგი“ (ლიპეცკი) 0:0, „ლუჩი“ (აზოვი) — „სპარტაკი“ (ტამბოვი) 2:0, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 1:0, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „დინამო“ (სოხუმი) 0:0, „სპარტაკი“ (ანაპა) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 4:0.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

### შვეიცარია

**VII ტური.** „გრასჰოპერსი“ — „არაუ“ 1:0, „სენტ-გალენი“ — „იანგ ბოისი“ 2:0, „ლუცერნი“ — „ლუგანო“ 2:1, „ქსამაქსი“ — „სერვეტი“ 2:1, „ვეტინგენი“ — „ლოზანა“ 1:1, „ბელინცონა“ — „სიონის“ მატჩი გადაიდო.

| | | | |
|---|---|---|---|
| „გრასჰოპერსი“ | 7 | 13-5 | 10 |
| „ლუცერნი“ | 7 | 11-8 | 9 |
| „ბელინცონა“ | 6 | 12-5 | 8 |

### ავსტრია

**VI ტური.** „კლაგენფურტი“ — „ადმირა“ 4:3, „ვიენა“ — „რაპიდი“ 2:2, ლასკ (ლინცი) — „შტურმი“ 2:1, „გრაცერი“ — „ტიროლი“ 0:3, „ავსტრია“ — „სენტ-პოლტენი“ 0:0, „შტეირი“ — „ვინერ სკ“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ავსტრია“ | 6 | 18-7 | 10 |
| „სენტ-პოლტენი“ | 6 | 11-4 | 9 |
| „ტიროლი“ | 6 | 11-6 | 8 |

### გფრ

**IV ტური.** „შტუტგარტი“ — „შტუტგარტ კიკერსი“ 2:0, „კარლსრუე“ — „სენტ პაული“ 3:1, „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი) — „ვერდერი“ 4:1, „ბაიერი“ (იურდინგენი) — „ბაიერნი“ 1:1, „ჰანოვერი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 0:0, „ბაიერი“ (ლევერკუზენი) — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 2:0, „ნიურნბერგი“ — ჰსვ 1:0, „ფრანკფურტი“ — მანჰეიმი“ 1:0 (ამ კვირაში „ბაიერნმა“ მეორე შეხვედრაც ჩაატარა „ბოჰუმთან“ — 2:1).

| | | | |
|---|---|---|---|
| „კარლსრუე“ | 4 | 11-6 | 7 |
| „შტუტგარტი“ | 3 | 8-2 | 6 |
| „ბაიერნი“ | 3 | 6-2 | 5 |

5 ქულა მოაგროვა კიდევ ოთხმა გუნდმა.

### ბელგია

**III ტური.** „ვარეგემი“ — „სერკლი“ 2:2, „ლოკერენი“ — „კორტრიკი“ 0:0, „ბრიუგე“ — „შარლერუა“ 6:1, „სტანდარდი“ — „ბევერენი“ 1:0, „სენტ-ტრიუდენი“ — „ბეერსკოტი“ 2:1, „ანდერლეხტი“ — „რესინგი მეჰელენი“ 6:3, „მეჰელენი“ — „მოლენბეკი“ 2:0, „ანტვერპენი“ — „გენტი“ 4:0, „ლიერსი“ — „ლიეჟი“ 1:4.

| | | |
|---|---|---|
| „ანდერლეხტი“ | 3 | 6 |
| „სენტ ტრიუდენი“ | 3 | 6 |
| „ბრიუგე“ | 3 | 5 |

### შოტლანდია

**II ტური.** „აბერდინი“ — „სენტ მირენი“ 1:1, „დანდი იუნაიტედი“ — „სელტიკი“ 1:0, „ჰართსი“ — „ჰამილტონი“ 3:2, „მოდერეული“ — „დანდი“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დანდი იუნაიტედი“ | 2 | 2-0 | 4 |
| „რეინჯერსი“ | 2 | 2-0 | 3 |
| „ჰიბერნიანი“ | 2 | 1-0 | 3 |

### ბულგარეთი

**II ტური.** „პერნიკი“ — „გორნაორეხოვიცა“ 1:2, „ჩერნო მორე“ — „სტარა ზაგორა“ 2:1, „რუსე“ — „სრედეცი“ 0:3, „ლოკომოტივი“ (სოფია) — „სპარტაკი“ (ვარნა) 3:0, „ვრაცა“ — „სლავია“ 0:0, „ლოკომოტივი“ (პლოვდივი) — „პირინი“ 1:0, „ველიკო ტირნოვო“ — „თრაკია“ 4:1, „ვიტოშა“ — „სლივენი“ 3:0.

| | | |
|---|---|---|
| „სრედეცი“ | 2 | 4 |
| „ლოკ.“ (სოფია) | 2 | 3 |
| „ჩერნო მორე“ | 2 | 3 |

(საქ. ინფ.).

## 3 ქულა გამარჯვებისთვის?

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყების წინ ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. ვიჩინიმ წინადადება წამოაყენა შეიცვალოს ქულათა ჩათვლის სისტემა იტალიის ჩემპიონატში. კერძოდ, მისი აზრით უმჯობესი იქნება თუ იტალიურ ფეხბურთში დაწესდება ინგლისური სისტემა — 3 ქულა გამარჯვებისთვის.

მაგრამ ა. ვიჩინის წინადადებას კატეგორიულად უარყოფს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ანტონიო მატარესი.

— ვიჩინი ფანტაზიორია, — განაცხადა მან. — მან კარგად იცის, რომ იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატი საკმაოდ განსხვავებულია ევროპაში, აქ საკმარისი რაოდენობით გააქვთ გოლები, გადასინჯეთ, თუნდაც, იტალიის თასის შეხვედრათა შედეგები. ამიტომაც ასეთი სიახლე ჩვენ არ გვჭირდება, მაგრამ ფედერაცია წინადადებას მაინც განიხილავს, რახან იგი დღის წესრიგში დადგა.



თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 2 სექტემბერი.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

**რრკ „ელმავალი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 13:15 (13:8).**

**რრპ: გეგუჩაძე; ხვედელიძე (მონიავა, 46), მანთიძე, ჟეიშვილი, მეტრეველი; ჩავლეიშვილი, ქერაული; გიორგაძე, კაკაბაძე, კ. გიუნაშვილი, მექვაბიშვილი (ხუადე, 41), კაშია, ჯაფარაშვილი, გ. გიუნაშვილი, უუფარაძე.**

**„ლოკომოტივი“: ბრატკო; რუდენკო, ვინოხოდოვი, ოვჩინიკოვი, დანილოვი; ბუგროვი (დროჟინი, 41), პროკლოვი; ნეხოროშევი, მალიკოვი, კარპუშენკო, ივანოვი, კუზნეცოვი, ბარანკოვი, შარკოვი, მოსიაკოვი (კოსტიუკი, 41).**

**მსაჯი ანატოლი შევერევი (კიევი).**
**გოლები: რრკ — 2 ლელო (8, ჩავლეიშვილი; 38, გიორგაძე), საჯარიმო (18, ჩავლეიშვილი), რეალიზაცია (38, ჩავლეიშვილი); „ლოკომოტივი“ — 3 ლელო (10, 16: ბარანკოვი; 55, ბრატკო), საჯარიმო (69, ოვჩინიკოვი).**

მატჩის შედეგი ორივე გუნდისთვის არსებითი იყო. წაგების შემთხვევაში სტუმრები მედლებისთვის ბრძოლის ბოლო შანსს ჰკარგავდნენ, მასპინძლები კი მეხუთე ადგილის დაკავების ოცნებას უნდა გამოთხოვებოდნენ. სამწუხაროდ, თბილისელები „ლოკომოტივთან“ წელს უკვე მესამედ დამარცხდნენ და ამჯერადაც, პირველ ყოვლისა, თავიანთი უნიათობის გამო.

სტუმრებმა ღირსეულად იბრძოლეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. მატჩმა ცხადყო, რომ მოსკოვის რკინიგზელთა გუნდი დღესდღეობით თბილისისაზე ძლიერია. მასპინძლებმა მხოლოდ პირველი ტაიმის დასაწყისსა და ბოლოში, აჯობეს სტუმრებს, სხვა დროს კი ბურთს ერთთავად „ლოკომოტივი“ ფლობდა და ენერგიულად უტევდა. სტუმართა მორკინალები უფრო ხშირად მოიპოვებდნენ ბურთს, მერე მას სამმეოთხედელებს გადასცემდნენ, თავად კი კვალში მიჰყვებოდნენ. „ელმავალის“ რეგბისტებს ასეთი იერიშების მოგერიება ექნელებოდათ. ბურთის მსვლელობას ხშირად ჩამორჩებოდნენ და ჯარიმდებოდნენ. ზოგჯერ კი სრულიად უხიფათო სიტუაციებშიც ცდებოდნენ. ჩვენდა საბედნიეროდ, მოსკოველთა დამრტყმელები (ბუგროვი, დროჟინი, ოვჩინიკოვი) ზედიზედ აცდენდნენ მიზანს და, დიდი უპირატესობის მიუხედავად, სტუმრები აგებდნენ შეხვედრას. ბოლოს მაინც ოვჩინიკოვმა იმარჯვა, მეშვიდე ცდიდან შეაგდო საჯარიმო, მაგრამ, რაც შემდეგ მოხდა, საერთოდ ძნელი წარმოსადგენია: 76-ე წუთზე თბილისელებმა, როგორც იქნა, გადაალწიეს სტუმართა ნახევარზე, მაგრამ 22-მეტრიან ხაზთან, თითქმის კარის პირდაპირ დანიშნული საჯარიმო კარში დარტყმის ნაცვლად უხეიროდ გაითამაშეს, რითაც მრავლისმომსწრე მაყურებელი და მეტოქეც კი გაოგნეს.

ამით შეგვეძლო დაგვემთავრებინა ამ პარადოქსული მატჩის მიმოხილვა, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს თბილისელთა გარენახევარმცველის დათო ჩავლეიშვილის ბრწყინვალე თამაში. მან თბილისელთა მიერ გატანილ ორივე ლელოში „ლომის წილი“ დაიდო, შეაგდო საჯარიმო 40 მეტრიდან, ფეხით მრავალჯერ გადაიყვანა თამაში სასურველ კალაპოტში. ერთი სიტყვით, გუნდს დღესდღეობით ჰყავს ისეთი გარენახევარმცველი, რომლის გამოჩენასაც თბილისელი რეგბის გულშემატკივრები რამდენიმე წელია ელიან.

* * *

„ა“ ქვეჯგუფის ლიდერების — ქუთაისის „მშენებლისა“ და კრასნოიარსკის ეტს-ის შეხვედრა კრასნოიარსკში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 14:12. 25 ტურის შემდეგ „მშენებელს“ 66 ქულა აქვს, ეტს-ს — 60, „ლოკომოტივს“ — 57, რრკ „ელმავალს“ — 46.

* * *

„ბ“ ქვეჯგუფში მატჩები ასე დამთავრდა: ასკ (ალმა-ათა) — სსა (მონინო) 22:9, „ავიატორი“ (კიევი) — „სლავა“ (მოსკოვი) 15:12. სსა-ს 63 ქულა დაუგროვდა (25 თამაშში), ასკ-ს — 56 (24), „სლავას“ — 56 (25), „ავიატორს“ — 54 (24).

ხვალ, 26-ე ტურში, ერთმანეთს ხვდებიან: რრკ — „მშენებელი“, ეტს — „ლოკომოტივი“; „ავიატორი“ — სსა, ასკ — „სლავა“.

# ბათუმელი ფეხბურთელები თურქეთში

**ბათუმი. ტელეფონით ჩვენი საკ. კორ.** ბათუმიდან ოციოდე კილომეტრის დაცილებით, სოფელ სარფთან ამ დღეებში საზეიმოდ გაიხსნა საავტომობილო გზა, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს სსრ კავშირსა და თურქეთს. და პირველი მანქანა, რომელიც სსრ კავშირიდან თურქეთის მხარეს გადაიარა, ეს იყო „იკარუსი“, ამ ავტობუსით თურქეთს გაემგზავრნენ ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელები. ისინი მეზობელ ქვეყანაში რამდენიმე ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს ჩაატარებენ.

ბათუმელმა ფეხბურთელებმა პირველი მატჩი ქალაქ რიზეში გამართეს ადგილობრივ „რიზე-სპორტთან“, მათ საგრძნობი უპირატესობით ჩაატარეს თამაში და გაიმარჯვეს ანგარიშით 7:3. ამ მატჩში 4 ბურთი გაიტანა აკოფიანმა, 2 — მეშკოვმა და ერთი — ქვანიამ. ბათუმელთა შემადგენლობა: ბალაძე (კუცია), გოგიტიძე, ფირცხალავა (მჭედლიშვილი), დურდიაძე, ჩიქოვანი, ჯოხაძე, თოროლაშვილი (მაჭუტაძე), აკოფიანი (ათუაშვილი), ბიგვავა (მენაბდე), ქვანია, მეშკოვი.

**ლევან ქავჟარაძე.**

ლელობურთში საქართველოს ჩემპიონატის წინ

# ახლებურად ჩატარდება

**სპორტის** ეროვნული სახეობების ასაღორძინებლად დღეს უფრო მეტი კეთდება, ვიდრე, ვთქვათ, გუშინ. გავიხსენოთ, თუნდაც, რესპუბლიკის სპორტსახკომის დადგენილება სპორტის ეროვნულ სახეობათა მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ და ბარემ აქვე ავხსნათ, რამ გახადა აუცილებელი ამ დადგენილების მიღება — პირველ ყოვლისა, იმან, რომ ჩვენ „ლვიძლ" სახეობებს თანდათან მოვაკელით მზრუნველობა და მთელი ყურადღება ოლიმპიურ სახეობებზე გადავიტანეთ.

სპორტსახკომის დადგენილების განსახორციელებლად, ცხადია, სათანადო ცვლილებები და სიახლენია საჭირო. დღეს იწყება საქართველოს ლელობურთელთა ტრადიციული რესპუბლიკური შეჯიბრება, რომლის ახალი დებულება სწორედ ამ სიახლეთა აუცილებლობის გათვალისწინებით შედგა.

წელს საქართველოს ლელობურთელთა ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ორ ლიგად დაიყვნენ. პირველ ლიგაში გამოვლენ ჩოხატაურის, გეგეჭკორის, მახარაძის, გორის, აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლები, რომლებიც მიმოსვლით, ორ წრედ იასპარეზებენ. მეორე ლიგაში გაერთიანდნენ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების პირველობის მონაწილენი (ამ შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება აქვთ პირველი ლიგის გუნდებსაც). ის პროფკავშირული გუნდი, რომელიც ყველაზე მაღალ საფეხურს დაიკავებს მეორე ლიგის სატურნირო ცხრილში (ცხადია, გარდა იმ გუნდებისა, რომლებიც პირველ ლიგაშიც ასპარეზობენ), გაისად პირველ ლიგაში ითამაშებს.

დებულებაში, რა თქმა უნდა, არის სხვა ცვლილებებიც. ისინი, ასე ვთქვათ, სასამსახურო ხასიათისაა და მკითხველისთვის ნაკლებად საინტერესოა, მაგრამ, ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა შევჩერდეთ დებულების იმ პუნქტზე, რომელშიც ლაპარაკია შეჯიბრების ჩატარების პირობებზე.

ლელობურთელთა მატჩების ორგანიზებულად, მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების სპორტკომიტეტებს. ისინი ვალდებულნი არიან უზრუნველყონ თამაშის ჩატარება საგანგებოდ ლელობურთისთვის დახაზულ ბალახისსაფარიან მოედანზე, სასწრაფო დახმარების მანქანისა და ექიმის მორიგეობა თამაშზე, მილიციის თანამშრომელთა დასწრება და წესრიგის დაცვა სტადიონზე და ა. შ.

ნურავინ იფიქრებს, ეს გაფრთხილება მორიგი დიდაქტიკური შეგონებაა, დღეს დაიწერა და ხვალ არავის ეხსომება. ყოველმა ჩვენგანმა იცის — ადრინდელს როგორ შეედრება, დღეს ისე **გამძაფრდა ბრძოლა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში წესრიგის დასაცავად, ასე რომ, ვინც თავს შეირცხვენს, ფეხბურთელი იქნება იგი, კალათბურთელი თუ ლელობურთელი, ყველას ერთნაირად მოეკითხება.** ჩვენი აზრით კი, ლელობურთელებს და მათ ხელმძღვანელებს სხვებზე მეტი მოეთხოვებათ — ამ უძველესი ქართული თამაშის საფუძვლიანად აღდგენა-განვითარება თუ გვსურს, ლელობურთელთა შეხვედრები სანიმუშო სტუმარ-მასპინძლობით უნდა გამოირჩეოდეს.

პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდებიან ჩოხატაური — აფხაზეთი, გეგეჭკორი — გორი, აჭარა — მახარაძე.



**იმერეთის** ამ ლამაზ კუთხეში, მთამსვლელობას და მის ერთ-ერთ პოპულარულ დარგს — კლდეზე ცოცვას კარგად იცნობენ. წარსულში აქ მაღაროელთა ალპინიადები ჩატარებულა ალექსანდრა, ალიოშა, ნოე ჯაფარიძეების, ანდრო ფიფიას და სხვათა ხელმძღვანელობით. ბოლო წლებში კი მეკლდეურობამაც მოიკიდა ფეხი. აქაურ ისტორიულ ძეგლთა შორის ყველაზე უფრო საინტერესოა კაცხის 40 მეტრიანი მაუვალი კლდოვანი სვეტი, რომლის თავზე მცირე ეკლესიის ნანგრევებია შემორჩენილი. მის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „ხრამსა შინა არს ეკლესია მცირე, არამედ, ვერღარა აღვალს კაცი, არცა უწყიან ხელოვნება აღსვლისა". მასზე პირველი ამსვლელები 1944 წელს იყვნენ ალიოშა ჯაფარიძე, ლევან გოთუა და ვახტანგ ცინცაძე. ლევან გოთუამ ასვლა აღწერა თავის მოთხრობაში „კაცხის სვეტის საიდუმლოებანი". კაცხის სვეტის ისტორია დაკავშირებული იყო სირიელ მამასთან სიმონ მესვეტესთან, რომლის გარშემო მრავალი ლეგენდა და თქმულებაა შემორჩენილი.

# კაცხის სვეტსა და „საშევარდნოზე"

კაცხის სვეტი და ახლომდებარე სხვადასხვა სირთულისა და კონფიგურაციის კლდეები ჭიათურელი ახალგაზრდობის ერთგვარ ასპარეზად იქცა. ბოლო წლებში აქ გამართულმა რესპუბლიკურმა პირველობებმა იუნიორთა საკავშირო შეჯიბრების ჩატარება განაპირობა.

შეჯიბრებაზე დაშვებული იყვნენ მაღალი თანრიგის კლდეზე მცოცავები — რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ლატვიის, საქართველოს, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. ასპარეზობა ტარდებოდა სრულიად ახალი, შეცვლილი პროგრამით, რომელშიც ქართველი სპორტსმენები პირველად მონაწილეობდნენ. გუნდი მთლიანად დაკომპლექტებული იყო სახალხო განათლების სამინისტროს მოზარდ მთამსვლელთა სპორტული სკოლის მოსწავლეებით (დირექტორი სპორტის ოსტატი ლადო გურჩიანი).

ჭიათურის ცენტრში 100 მეტრიანი კლდე აზიდულა, რომელსაც „საშევარდნოს" უწოდებენ. შეჯიბრების ძირითადი სახეობები სწორედ აქ ჩატარდა, ხოლო საზეიმო გახსნა გაიმართა კაცხის ალპიურ ბაზაზე.

ჩვენი გუნდის ცხრა მეკლდეურთაგან შვიდმა საპრიზო ადგილი და მედლები დაისაკუთრა. მათ შორის ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოსი. მათი მფლობელები გახდნენ უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის ზაზა გურჩიანი — ბეჩო (მწვრთნელი ბ. გურჩიანი), ამავე ასაკში ვერცხლის მედლები ერგოთ ალექსი და ნინო კვანჭიანებს — მესტია (მწვრთნელი რ. ფანჯიანი), საშუალო ასაკში ოქროს მედალი მიეკუთვნა ნინო ჩარკვიანს — მესტია (მწვრთნელი რ. ფანჯიანი), თბილისელმა ნუკრი კვეზერელმა ჯერ ბრინჯაოს მედალი, შემდეგ კი ლერი მიქელაძესთან ერთად ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა (მწვრთნელი შ. ავსაჯანიშვილი).

საქართველოს გუნდი მეხუთე ადგილზე გამოვიდა, მისმა შვიდმა წევრმა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმები შეასრულა. მათგან უმეტესობა მესტიელია, რამაც ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ მესტიის რაიონში მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მეკლდეურობას.

ასეთი უმაღლესი რანგის იუნიორთა საკავშირო შეჯიბრება მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ერთადერთია და მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოსავლენად. წლეულს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დებულებით გუნდში განსაზღვრულია იუნიორთა მონაწილეობაც და ჭიათურაში გამარჯვებულნი სექტემბერში, ყირიმის კლდეებზე, საკავშირო ჩემპიონატში გამოვლენ. ახლა საქართველოს ნაკრები რიწის ტბის შემოგარენ კლდეებზე გადის წვრთნას.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, ჭიათურის პარტიის ქალაქკომის, ალმასკომის, პროფკავშირულ, სპორტულ და სხვა ორგანიზაციათა. ის დიდი დახმარება, რამაც ამ მეტად საპასუხისმგებლო შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარებას შეუწყო ხელი. 25-30 სექტემბერს საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია და პროფკავშირთა სპორტული საზოგადოების სპორტული კლუბი ჭიათურაში გამართავს გამოჩენილ მთამსვლელთა სიმონ, ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეების პირველ მემორიალს მეკლდეურობაში.

**დენიზა ჰოზალიშვილი.**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# დარჩა მხოლოდ ლარისა სავჩენკო

**ნიუ-იორკი.** აშშ-ს ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის მესამე ტურში შეჯიბრებას კიდევ ორი საბჭოთა სპორტსმენი გამოეთიშა. თბილისელი ლეილა მესხი ამერიკელ ტერი ფელპსთან დამარცხდა მძიმე და უაღრესად შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ — 6:4, 3:6, 6:7. მოსკოველმა ნატალია ბიკოვამ კი შედარებით ადვილად დათმო პარტია მეორე ამერიკელთან ლარი მაკნილთან — 5:7, 3:6.

საბჭოთა ჩოგბურთელთაგან ბრძოლას განაგრძობს მხოლოდ ლვოველი ლარისა სავჩენკო, რომელმაც მესამე წრეში კანადელი კარლინ ბესეტ-სეგუსო დაამარცხა (6:4, 6:3) და ახლა ტერი ფელპსს უნდა შეხვდეს.

ვაჟთა ტურნირში კინაღამ ახალი სენსაცია მოხდა. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ ბრძოლას სტარტზევე გამოეთიშნენ ამერიკელი ჯონ მაკინროუ და დასავლეთგერმანელი ბორის ბეკერი (ეს უკანასკნელი ტრავმირებული ფეხით თამაშობდა). პირველი შეხვედრის მოგება გაუჭირდა ივან ლენდლსაც. მისი მეტოქე ამოს მანსდორფი (ისრაელი) დიდხანს შეუპოვრად იცავდა თავს და მხოლოდ მეხუთე გადამწყვეტ პარტიაში „გატყდა". ბოლოს და ბოლოს ლენდლმა მეორე წრეში თამაშის უფლება მოიპოვა — 6:2, 6:7, 6:1, 5:7, 6:0.

ანდრე აგასი ამერიკის ჩოგბურთის იმედად ითვლება და არც თუ უსაფუძვლოდ. მიმდინარე სეზონში მან რამდენიმე მნიშვნელოვანი ტურნირი მოიგო და მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა სიაში მეოთხე ადგილზე გადავიდა. აშშ-ს ღია ჩემპიონატში აგასი მესამედ გამოდის. პირველ ორ ტურნირში მან სტარტზევე განიცადა მარცხი, ამჯერად კი დამაჯერებლად დაიწყო შეჯიბრება და თანამემამულეს ფილიპ ჯონსონს აჯობა — 7:6, 6:3, 6:3.

ტარდება საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს თაოსნობით

# მარათონი ყველასთვის

**17 სექტემბერს,** სეულის ოლიმპიადის გახსნასთან დაკავშირებით, თბილისში პირველად ტარდება „მასობრივი მარათონი" — გარბენი ოთხკილომეტრიან დისტანციაზე გამარჯვების პარკიდან გმირთა მოედნამდე.

ღონისძიების მიზანია მოსახლეობის, კერძოდ, საშუალო სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა, აგრეთვე, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ჩაბმა ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა.

სტარტზე ათასობით ადამიანის გამოსვლაა მოსალოდნელი, ამიტომ მონაწილეები 17 სექტემბერს 10 საათზე გამარჯვების პარკთან, „ლოკომოტივის" სტადიონზე და მის მიმდებარე ჭავჭავაძის პროსპექტის მონაკვეთზე შეიკრიბებიან. სტარტი 11 საათზეა დანიშნული. ყველა მონაწილემ სამედიცინო შემოწმება თავიანთ სასწავლებლებში უნდა გაიაროს, სტარტზე არავითარი საბუთის წარდგენა საჭირო არ არის, ოღონდ თითოეულ მონაწილეს ზურგზე უნდა ჰქონდეს დამაგრებული ნომერი, რომელსაც თავის ორგანიზაციაში მიიღებს. სპორტული ფორმაც ჩვენი გემოვნების მიხედვით აირჩიეთ, მთავარია იგი მოხერხებული იყოს სარბენად.

შეჯიბრებას „ოლიმპიური მიზანი" აქვს: მთავარია მონაწილეობა. სტარტზე გამოსვლის შემდეგ ყველას შეუძლია გაირბინოს ის მონაკვეთი, რომლის დაძლევის ძალაც შესწევს, უფრო უკეთ მომზადებულნი კი, ცხადია, გამარჯვებას შეეცდებიან. მათთვის დაწესებულია პრიზები: 100 საუკეთესო მორბენალი სამახსოვრო ვიმპელებით დაჯილდოვდება, ხოლო პირველი 6 მონაწილე (სამი ქალი და ამდენივე ვაჟი) — ველოსიპედებით.

განაცხადები შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის უნდა წარადგინოთ საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოში არაუგვიანეს 6 სექტემბრისა. იქვე, 7 სექტემბერს 12 საათზე გაიმართება კოლექტივების წარმომადგენელთა თათბირი.

„მასობრივი მარათონი" ტარდება რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს მუშაკების ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით.

## კვირიდან კვირამდე

**„იზვესტია" — 28 აგვისტო.** „ნული ორგანიზატორებს", ანუ არასაჭადრაკო შეცდომები სსრ კავშირის 55-ე ჩემპიონატის დებიუტსა და ენდშპილში.

**30 აგვისტო.** „დაუგავა" შენაკადების გარეშე". უკვე რამდენიმე წელია რიგის „დაუგავას" ერთი ნაბიჯი აკლდება უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად...

**„კომსომოლსკაია პრავდა" — 1 სექტემბერი.** „მთელი ცხოვრება ვებრძოდი შიშს" — ამბობს ცნობილი საბჭოთა ტანმოვარჯიშე ელენე მუხინა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია სარეცელსაა მიჯაჭვული.

**„იუნოსტი" — № 8.** „იყო გუნდი ცდკა..." 1952 წლის ოლიმპიადაზე იუგოსლავიის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ სტალინის ბრძანებით „ლეიტანანტების გუნდი" დაშალეს.

**„სოვეტსკი სპორტი" — 28 აგვისტო.** „ემოციები და ბანკნოტები". წერილის თემაა საკავშირო სპორტსახკომისა და სპორტსმენების ფინანსური ურთიერთობანი.

**31 აგვისტო.** „ნაღველი და არაფერი". გაზეთის სტუმრები არიან ამერიკელები ლინ კოქსი და ბობ უოლში.

**2 სექტემბერი.** „მეძავები". ბელგრადის ერთ-ერთი ფეშენებელური სასტუმროს ფოიეში ყოველ საღამოს იკრიბებიან მომხიბლავი გოგონები. საფეხბურთო სამყაროში მათ კარგად იცნობენ და „პირველი ლიგის გოგოებს" ეძახიან.

**3 სექტემბერი.** „აღნიშვნები დასამახსოვრებლად". აგვისტოს თვის საფეხბურთო მიმოხილვა.

**3 სექტემბერი.** „განსაკუთრებული დანიშნულების რაზმი". სამწუხაროა, მაგრამ, ალბათ მალე მოსკოვის სტადიონებზე გამოჩნდება რეზინის ჯოხებითა და პლასტიკის ფარებით შეიარაღებული წესრიგის დამცველთა რაზმები.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 4 სექტემბერი.** რიტმული ტანვარჯიში — **9.15 (1)**; „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.20 (1)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **18.30 (1)**.

**5 სექტემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **11.20 (1)** და **19.15 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია. 4 სექტემბერი.** საფეხბურთო მიმოხილვა — **18.30.**

**საქართველოს რადიო. 4 სექტემბერი.** რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი" — **14.30.**

**„სპორტპროგნოზი", 37-ე ტირაჟის პროგრამა (10-12 სექტემბერი)**

| | | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 1. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 10.IX | 30 | 30 | 40 |
| 2. „ტორპედო" (იაროსლავლი) — „ტორპედო" (გორკი) | 10.IX | 30 | 30 | 40 |
| 3. „სოკოლი" (კიევი) — „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი) | 11.IX | 60 | 20 | 20 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | | |
| 4. „დაუგავა" (რიგა) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 11.IX | 80 | 10 | 10 |
| 5. ასკ (როსტოვი) — ცსკა | 11.IX | 20 | 10 | 70 |
| 6. „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „როსტსელმაში" (როსტოვი) | 11.IX | 80 | 10 | 10 |
| 7. „კოტაიკი" (აბოვიანი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) | 11.IX | 50 | 30 | 20 |
| 8. „კუბანი" (კრასნოდარი) — „შინიკი" (იაროსლავლი) | 11.IX | 30 | 50 | 20 |
| **სსრ კავშირის თასი ფეხბურთში, მერვედფინალი** | | | | | |
| 9. ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „დინამო" (თბილისი) | 12.IX | 50 | 10 | 40 |
| 10. „ზენიტი" (ლენინგრადი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 12.IX | 50 | 30 | 20 |
| 11. „დინამო" (მინსკი) — „ნეფთჩი" (ბაქო) | 12.IX | 80 | 10 | 10 |
| 12. „მეტალისტი" (ხარკოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) | 12.IX | 30 | 30 | 40 |
| 13. „კაირატი" (ალმა-ათა) — „ტორპედო" (ქუთაისი) | 12.IX | 70 | 10 | 20 |

**შენიშვნა:** მერვედფინალურ მატჩებში მხედველობაში მიიღება ძირითადი დროის შედეგი.

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე.

**სკოლა იწვევს...**

„დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ბავშვთა და მოზარდთა ჩოგბურთის სპორტული სკოლა ა. წ. 5 სექტემბრიდან აცხადებს 1978-79-80-81-82 წლებში დაბადებული გოგონებისა და ვაჟების მიღებას ფასიან საამონემენტო ჯგუფებში.

ცნობებისათვის მიმართეთ მისამართით: სტალინის სახ. სანაპირო № 2, „დინამოს" ჩოგბურთის სტადიონი. ტელ: 99-59-05; 93-52-13.

**სკოლის დირექცია**

ინდექსი 66465. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 05522

XXII